მეორე ტაიმში მოგებული მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 14 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მინსკი) – 4:1 (1:1).

“დინამო” – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, ღოღობერიძე, რამიშვილი, ხასაია, ბარქაია, ჭკუასელი (ქვლივიძე), იამანიძე, მესხი.

“სპარტაკი” – მიკულეცი, რადუნსკი, ერმაკოვი, ივანოვი, პავლოვიჩი, აბრამოვიჩი, ჩიხლაძე, დუბროვსკი, ნიკულენკო (გონჩაროვი), ეროხოვეცი, კორნეევი.

მსაჯი: გ. რუსოვი (ერევანი).

ორივე გუნდი მოედანზე საბრძოლო განწყობილებით გამოვიდა. ამიტომ იყო, რომ პირველი წუთებიდანვე მოედანზე გაიმართა სპორტულად დაძაბული ბრძოლა. 2 ქულა მინსკელებს აუცილებლად სჭირდებოდა, გამარჯვების შემთხვევაში სტოვებდნენ სახიფათო ზონას, ხოლო თბილისელები კი მტკიცედ ინარჩუნებდნენ მეშვიდე ადგილს.

დინამოელები მატჩის პირველ ნახევარში უმთავრესად მარცხენა ფრთიდან უტევდნენ, სადაც სწრაფი მესხი ადვილად უმკლავდებოდა რადუნსკის და მათ შორის ბრძოლა ყოველთვის თბილისელის გამარჯვებით მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა, მინსკელთა კარში პირველი ბურთი მარჯვენა მხრიდან გავიდა. ეს მოხდა მე–13 წუთზე, როცა ელოშვილის მიერ წამოწყებული კომბინაცია დამთავრდა ხასაიას მიერ კარში ძლიერი დარტყმით და გოლით – 1:0. ის–ის იყო სპარტაკელებმა თამაში ცენტრიდან დაიწყეს, ბურთი ჩააწოდეს “დინამოს” კართან, რომ იქვე გაჩნდა ნახევარმცველი აბრამოვიჩი და გაათანაბრა ანგარიში – 1:1. თბილისელთა აშკარა უპირატესობის მიუხედავად, ანგარიში ტაიმის ბოლომდე არ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ დინამოელები მინსკელებს მთელი ფრონტით უტევდნენ. თავდასხმაში მცველებიც კი მონაწილეობდნენ, მაშინ, როცა სტუმრები თითო–ოროლა კაცით უახლოვდებოდნენ თბილისელთა კარს. მეორე ტაიმის დაწყებიდან 7 წუთი იყო გასული რომ “სპარტაკის” კართან შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა იამანიძემ და მეორე ბურთი გაიტანა – 2:1.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო აშკარა იყო დინამოელთა უპირატესობა. თუ კი პირველ ნახევარში თავდასხმის მარცხენა ფრთა უფრო აქტიურობდა, ამჯერად, მარჯვენა ფრთაც ჩაება იერიშებში, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა, ვიდრე თავის საჯარიმო მოედანზე მინსკელთა ერთ–ერთმა მცველმა ხელით არ ითამაშა. ხასაიამ 11–მეტრიანი საჯარიმოდან მესამე ბურთი გაახვია “სპარტაკის” კარის ბადეში. 3:1. 5 წუთის შემდეგ მოედნის შუაგულში რამიშვილმა, რომელიც ამ დღეს შეუცდომლად თამაშობდა, კართან გაიყვანა ქვლივიძე. ამ უკანასკნელმა ბურთი გადააწოდა იამანიძეს და მინსკელებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში – 4:1.

ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე არ შეცვლილა და დინამოელებმა მოიპოვეს მეტად საჭირო 2 ქულა.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი, რომელიც 13 სექტემბერს ჩატარდა, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით – 6:0.

ტ. ჯანდიერი.
“ლელო”, 15 სექტემბერი, 1957 წ.